

საგაზეთო

საერთო უკრაინული

პარასკევი 7 ნოემბერი 2003 №212 (1983)

ფასი 50 თეთრი

ვალენსია მადრიდთან გაუბრა

სპარტაკის
ხელოვნური 4:0

ფუ-ეინოორლი
უინ ტეპლიცესთან

იყრ ქუთაისი,
ლენსი, უტაპა,
თურქებ ფრანსს
სამჯერ უტაპა



UEFA CUP



რონალდინიო და „ბარსელონა“ „პანიონიოსის“ სტუმრად 3:0 ძლევით შეთქმულმეტეფინალისკენ გაფრინდნენ


REUTERS ააგონიან

ფანულიას მხარზე ხელი დაკბრებს

დიდხანს ითმინა და იცადა ზაზა ფაჩულიამ, „ორლანდო მეჯიჩის“ პირველ ოთხ თამაშში ის ისეთივე მაყურებელი იყო, როგორც მის უკან ტრიბუნებზე შეფენილი ათასობით ბილეთის მყიდველი ადამიანი. მისი თანაგუნდელები თამაშობდნენ, ფაჩულია კი მხოლოდ უყურებდა, ემოციებმომძალელებული დიდი-დიდი სკამზე შემსტარიყო, ანაც დაძაბულობისგან უნებლიეთ წამოეძახა გაურკვეველი რამ. ან რით უნდა დახმარებოდა სკამიდან თანაგუნდელებს, ტრეისი მაკგრეიდის და ჯუონ ჰოვარდს რჩევების მიცემას ხომ არ დაუნყებდა 20 წლის საიდანაცელი ახალბედა?!

5 ნოემბერს კი ნბა-ს მესამე ქართველმა მოიშორა მაყურებელის სტატუსი. „ჩიკაგო ბულვთან“ შეხვედრის პირველი მეოთხედის ბოლოს დოკ რივერსმა სკამიდან ააყენა და მხარზე ხელი დაჰკრა, ითამაშეო და ზაზა ფაჩულიამ პირველად შეაბიჯა ნბა-ს ოფიციალურ თამაშში.

დებიუტი შედგა. რა შეატყო, ბუზებს არ ყლაპავსო, რივერსმა კარგა ხნით დატოვა თამაში. მაშ ასე, ზაზა ფაჩულია პირველ თამაშში: 16 წუთი, 7 ქულა, 6 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 პასი, 1 დაფარება...
გავრძელება იქნება...



კუბოკრული აგზები რეზიუმეების ეფორია: გეგმობით, მარამ მანათ...



ალექსანდრე რეზიუმეილი

ამი ჩადგომას. რასაც ვიმსახურებ, იმას ნუ დამიკარგავენ და გუნდში დარჩენის საწინააღმდეგო არაფერი მექნება.

მიუხედავად ამისა, გუნდის კრებამდე ჯერაც გაურკვეველია, დარჩება თუ არა რეზიუმეილი „ტორპედო-მეტალურგში“.

მერვედფინალში გავიდა რუსული პრემიერლიგის კიდევ ორი „ქართული“ გუნდი. ამ სეზონის აღმორჩენას, ბრინჯაოს პრიზიორ „რუბინს“ არ გასჭირვებია საკტ პეტერბურგის „დინამოს“ ჩამორჩება, რაკილა პირველი მატჩი სტუმრად 4:0 მოიგო. „რუბინმა“ სილაგადის და ჩალადის დახმარებით ყაზანშიც იმარჯვა — 2:1. სილაგადემ შეუცვლელად ითამაშა, ჩალადემ კი მეორე ტაიმში ნეჩაევი შეცვალა და 78-ე წუთზე პენალტი მონიადირა.

პრემიერლიგიდან გავარდნილი „ურალანი“ ტოლიატის „ლადასთან“ საპასუხო მატჩში ლადის დაალა ვასილ გიგიაძემ. ქართველი ლეგიონერი 69-ე წუთზე უხეში თამაშისთვის გააძევეს და მის გუნდს ათი კაცით მოუხდა თამაში. „ურალანის“ ძირითად შემადგენლობაში გამონჩნდა ანზორ კალაძე. იგი პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს ელისტელებს კი ძალიან გაუჭირდათ პირველლიგელი მეტოქის დამარცხება და მხოლოდ დამატებით დროში, 102-ე წუთზე ბულიგას გოლით გატეხეს ტოლიატელები.

ორი ქართველი დაემშვიდობა რუსული თასისთვის ბრძოლას ცხადადის და მუჟანადის „ანჟიმ“ საპასუხო მატჩში ვერაფერი გააწყვი „როტორთან“ და 0:2 დამარცხდა.

მერვედფინალის რამდენიმე მატჩი წლეულსვე გაიმართება. „ტორპედო-მეტალურგის“ მეტოქე თანაქალაქელი „ტორპედო“ იქნება, „ურალანს“ კი უმცირესი შანსი რჩება, რაკილა ცსკა არგუნა კენჭისყრამ. „რუბინი“ კი ალბათ მიზელი აშვეთიასა და მალხაზ ასათიანის „ლოკომოტივს“ შეხვდება, რადგან რკინიგზელებს მერვედფინალში გასასვლელად „ნიჩიკი“ ჰყავთ ჩამოსაშორებელი.

ბაბა ზალაზბერიძე

ოლიმპიური სიფერა ნარსულზე გუნდთან ერთად ასრულებს გელა ხაბაშვილი

30 ნოემბერს კრასნოზნამენსკში 1988 წლის სეულის ოლიმპიადის მომგები საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრები აღდგება. „ოქროს გუნდისა“ და რუსული ესტრადის ვარსკვლავების მატჩი ოლიმპიური ჩემპიონობის თხუთმეტ წლისთვის ეძღვნება. თანაც ამ დღეს კრასნოზნამენსკში ხუთიათასადგილიანი საფეხბურთო სტადიონი იხსნება. ოლიმპიელების წინააღმდეგ თამაშში მობღერლებს პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და კეტიერანი ფეხბურთელებიც დაეხმარებიან.



მიწვეული, მათ შორის გელა კეტი-შვილიც, რომელიც ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, ოლიმპიური ოქრო რომ მოუვია.


ბაბა ზალაზბერიძე

მოსახლენი მოხდა — რიგის „სკონტომ“ ოფიციალურად გაინლდა ლატვიის ჩემპიონობა. გუშინწინ ლიეპაიას „მეტალურგსთან“ მატჩში „სკონტოს“ ქულაც აძლევდა ხელს, მეორეადგილოსან „მეტალურგს“ კი უმცირესი თეორიული შანსილა შერჩენოდა. ყველაფერი ლევან კორლალიძისა და ზურაბ მენტეშაშვილის სასიკეთოდ მოხდა — „სკონტომ“ უგოლოდ დაშორდა მეტოქეს და ჩემპიონიც გახდა. ეს ზედიზედ მეცამეტე ტიტულია რიგელებისთვის, რაც სარეკორდო შედეგია მსოფლიო ფეხბურთში

სად არის შამპანური? მოურიბღებთან რიგას კორლალიძე და მენტეშაშვილი?

ჩემპიონობას დაჩვეული სკონტოელებისთვის ზეიმი პომპეზური სულაც არ გამოდგა. ჩემპიონებს გასახდელში შამპანურიც კი არ დაახვედრეს, რაზეც ლევან კორლალიძემ ხუმრობით თქვა, ნუთუ ჩვენი არ სჯეროდათო. ერთი სიტყვით, ფეხბურთელებმა გამარჯვება ავტობუსში „დაასველეს“.

— ძნელი მატჩი გამოდგა, მაგრამ ჩვენთვის მაინცდამაინც დიდი პრობლემა არ იყო. ჩემპიონობა, ფაქტობრივად, „ვენტსპილსთან“ მოგებულ მატჩში დავიბევეთ. „მეტალურგსს“ მცირე თეორიული შანსი



ლევან კორლალიძე

ქონდა. ამიტომაც ჩვენთვის საჭირო ერთ ქულაზე უფრო ვფიქრობდით და ასეც მოხდა — 0:0 „სკონტოსთვის“ გამარჯვება იყო — თქვა ლევან კორლალიძემ. შეგახსენებთ, რომ ლატვიის ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტური დარჩა. სწორედ ამის შემდეგ გაირკვევა, დარჩებიან თუ არა ქართველები „სკონტომში“, მანამდე კი — „სკონტომ“ ცამეტგზის ჩემპიონია.

ბაბა ზალაზბერიძე

ტორპედოს ბრაზილიელები დააკონსერვებინეს

რამდენიმე დღის წინ ქუთაისში ჩასული ბრაზილიელი ფეხბურთელები რობსონ ლოპესი და ერიკსონ მარტინიო — ახალ კლუბს გაუმინაურდნენ. სამხრეთამერიკელები უკვე ჩვეულად ემზადებიან ძირითად შემადგენლობასთან ერთად, თუმც ეგ არის, გაზაფხულამდე „ტორპედოს“ ვერაფრით დაეხმარებიან. ეროვნული ჩემპიონატის დებულების თანახმად, კლუბს ახალი ფეხბურთელის განაცხადში შეყვანა პირველი ეტაპის დამთავრებამდე არ შეუძლია.



ფოთო კამპუსი (მარცხნივ) „ტორპედოში“ ბრაზილიელები არ გამარჯვებინეს

„ტორპედოს“ თავკაცობა თითქოს იმედოვნებდა, გამონაკლისს დაუშვებენო, მაგრამ ასე არ გამოვიდა. ერთი სიტყვით, ბრაზილიელებს საქმეში გაისამდე ვერ ენახავთ. ის კი გადაწყვეტილი ამბავია, რომ ლოპესიც და მარტინიოც ქუთაისში რჩებიან. ბრაზილიელები „ტორპედოს“ საწვრთნელ ბაზაზე იცხოვრებენ.

ამათ გარდა მთავარ მწვრთნელ ფოთო კამპუსს რამდენიმე სხვა თვისტომის ჩამოყვანაც სურდა, თუმც ჯერ თავი შეიკავა. პირველი ეტაპი

დამთავრდეს და თუ ექვსეულში მოვხვდებით, მერე ამაზეც სერიოზულად ვიფიქრებთო, გვითხრა გუშინ კამპუსის თანაშემწე გელა კიკელიშვილმა.

ნდს ჯერაც არ დაბრუნებია გიორგი ყიფიანი, რომელიც ტრავმას იმუშებს. ყიფიანს მკურნალობის კურსი გაუჯანჯლდა და როდის განახლებს თამაშს, უცნობია.

ბარემ იმასაც გეტყვით, რომ გუ-

ბაბა ზალაზბერიძე

პროფლიგის პროპსაქმე

ლოკომოტივმა შაბათ-კვირა აურიბ

საპართველოს პროფესიული საფეხბურთო ლიგის რეკომენდაცია ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს: ყოველი ტურის ცენტრალური მატჩისა თუ მატჩების წინ გთხოვთ, მონაწილე პრესკონფერენცია და მასმედის თამაშისთვის სამზადისზე გაესაუბროთ. დაგვეთანხმებით, წამოწყება კარგია, ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციის საქმეში წინგადამდგული ნაბიჯია.


კლუბები საქმეს დღეიდანვე უნდა შეუდგნენ: „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“, „ტორპედოსა“ და „ვიტჯორჯიას“ მწვრთნელებმა თავიანთ ოფისებში პრესკონფერენცია უნდა გამართონ და საშაბათკვირო მატჩებზე თავიანთი აზრი გამოთქვან.

„ლოკომოტივია“. ჩემპიონთა პრესსამსახური გუშინ დაგვიკავშირდა და ივო შუშაკის პრესკონფერენციაზე დღეს, 2 საათზე დაგვიბარა... რკინიგზელებმა კი შაბათს ამავე დროს. კვითხულობთ: რომელი გაზეთი გამოდის კვირას, ან რომელია სალამოს გაზეთი, „ლოკომოტივის“ პრესკონფერენცია მკითხველამდე დროულად რომ მიიტანოს? ნამატჩევს კი მატჩამდელი სიტყვა კაციშვილს არ აინტერესებს. და თუ „ლოკომოტივის“ პრესკონფერენცია მხოლოდ ტელევიზიებზეა გათვლილი, ესეც გვითხრან.

თუმც, როგორც ჩანს, ზოგიერთ კლუბს სწორად ვერ გაუგია პროფლიგის ზემოხსენებული რეკომენდაციის არსი. აი, მაგალითი: კვირას „დინამო“ —

მოკლედ, პროფლიგამ თქვა, „ლოკომოტივმა“ ვერ გაიგო. გაიგებენ სხვა გუნდები? უნდა გაიგონ, კარგი საქმეა და იმიტომ, ჩვენი ფეხბურთისა და ჩვენი კლუბების პოპულარიზაციის ხელშემწყობი...

ბობა ინასარიძე



მე მას ჩავწიხლავდი ცოდვის უპილი მიხაილოვიჩი

სამშაბათს, ჩემპიონთა ლიგის მატჩისას, რომელშიც ლონდონის „ჩელსიმ“ რომში „ლაციოს“ 4:0 მოუგო, ლაციოელმა სინიშა მიხაილოვიჩმა სტუმართა რუმინელ ადრიან მუტუს შეაფურთხა. ეს ეპიზოდი მატჩის რუს არბიტრ ვალენტინ ივანოვს გამოეპარა, მაგრამ მთელმა ევროპამ დაინახა და სალაპარაკო თემად იქცა.

ყველაზე მეტად, ცხადია, ინგლისელები არიან აღშფოთებულები. აი, რა თქვა მომხდარის თაობაზე „ჩელსის“ ოდინდელმა კაპიტანმა რონ პარისმა:
— შეფურთხება ყველაზე მდამბურთ საქციელია. წესით უფამ მიხაილოვიჩს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მაინც უნდა მისცეს. მუ-

ტუს კი ასოლუტურად სწორად მოიქცა, რომ არ უპასუხა. მსაჯი გაავადებდა და ამით გუნდს დააღალატებდა.
მსგავსი რამ ერთხელ მეც შემემთხვა. „მილანს“ ვეთამაშებოდი. იტალიელებს ერთი ბრაზილიელი ფეხბურთელი ჰყავდათ, ამარილდო. შემაფურთხა. ძალიან

მინდოდა მეც შემეფურთხებინა, მაგრამ თავი შევიკავე. კაპიტანი ვიყავი და თავდაჭერა მმართებდა. ოღონდ ის ამბავი არ დავივიწყე და როცა „მილანი“ საპასუხო მატჩზე ჩამოვიდა, „სტემფორდ ბრიჯზე“ ამარილდო ორჯერ გულიანად ჩავეწიხლე. ასე გადავუხადე სამაგიერო.

სინიშა მიხაილოვიჩის ცოდვითა კრებული



აპრილი, 1999: სათამაშო მაისურის ქვეშ მიხაილოვიჩს მეორე მაისურა ეცვა, რომელზეც ნატოს საწინააღმდეგო ლოზუნგი ეწერა. ამით მან მხარი დაუჭირა იუგოსლავიის მაშინდელი პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის ომს კოსოვოში.

მაისი, 1999: ერთ-ერთ შეხვედრაში გატანილი გოლი მიხაილოვიჩმა არკანის ხსოვნას მიუძღვნა. არკანი სერბი კრიმინალი იყო, რომელიც მოკლეს. მიხაილოვიჩი მას ბელგრადის „ცრვენა ზვებდადან“ იცნობდა და მეგობრობდა.

თიბერვალი, 2000: ტორინოელი მარკო ფერანტეს ჩაინიხლვისთვის დისკვალიფიკაცია აჰკიდეს.


ივნისი, 2000: ევროპის ჩემპიონატზე სლოვენისთან მატჩისას უხეშობისთვის გააძევეს.

ოქტომბერი, 2000: დისკვალიფიკაცია მისცეს ჩემპიონთა ლიგაში „არსენალთან“ მატჩის დროს პატრიკ ვიეირას მისამართით რასისტული გამონათქვამისთვის. მაშინ მიხაილოვიჩმა მომხდარს ასეთი კომენტარი გაუკეთა: „მე ვიეირას შავტრაკა ვუნოდე. მან კი თქვა, თითქოს შავი მაიმუნი დავუძახე. მაიმუნს როგორ ვუნოდედდი, როცა არ ჰგავს, მაგრამ თუ ასე უნდა, ახლა დავუძახებ.“

იანვარი, 2002: იტალიის თასზე „მილანთან“ შეხვედრისას შეცვალეს და გასახდელისკენ მიმავალმა გულშემატკივარს შეაფურთხა.

ივნისი, 2003: ევრო 2004-ის შესარჩევ მატჩში ფინელ მიკაელ ფორსელს გაარტყა, რისთვისაც გააძევეს.

ნოემბერი, 2003: ჩელსელ ადრიან მუტუს შეაფურთხა. უეფა ამ ინციდენტს იძიებს.



ოუენი ზეჰემის კოლხე ლივარულმა რეალს ხარი ჩაურაზა

ფლორენტინო პერესის ალბიონური ინტერესები მარტო მანჩესტერელი ვან ნისტელაოთ არ ამოიწურება. გუშინ მადრიდულ AS-ში გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, „რეალის“ პრეზიდენტი ლივარულელი მაიკლ ოუენის გადაბირებასაც ცდილობს


„ენფილდ როუდის“ ვარსკვლავთბიჭუნას 22 წლისას მოპოვებული აქვს „ოქროს ბურთი“ (2001), უეფას თასი, ევროპის სუპერთასი, ინგლისის ლიგის თასი, ასოციაციის თასი და „ჩარიტი შილდი“ (პრემიერლიგის ჩემპიონისა და ასოციაციის თასის მფლობელის შერკინებაში გამარჯვებულის ტიტული). ესე იგი, არის ახალგაზრდა, ვარსკვლავი, სახელგანთქმული (რასაც ბიზნესში დახელოვნებული ფლორენტინო შესაბამისად გამოიყენებს) და მოკლედ რომ ვთქვათ — ბრწყინვალე ფეხბურთელი, რომლის თამაშის სახილველად ნებისმიერი ევროპული (თუ არაევროპული) პრესტიჟული სტადიონი პირთამდე გაიძებნება. ნათელია, ოუენს შეუძლია, კასტილიურ გრანდს დიდი მოგება მოუტანოს და სენიორ პერესსაც შესანიშნავად იცის, თუ ვის ოქროს ფეხს უნდა დაადგას გამჭრიახი თვალი. თქმა არ უნდა, ამ ინფორმაციამ ლა-მანშს გადაღმაც მიაღწია და მაიკის სამშობლოში დიდი საფეხბურთო გენისია ატეხილი.

მრიგებელმა ულიემაც ასე განაცხადა: „შემიძლია, მთელ სპორტულ სამყაროს აღვუთქვა, რომ სტივ მაკმანამანის ისტორია აღარ განმეორდება. ოუენი ჩვენთან კონტრაქტს განაახლებს“.

მაიკის მერსისაიდლებთან 2005 წლის ივნისამდე უწევს თანამშრომლობა, მაგრამ ინგლისში უკვე იციან, მასსა და ვერარ ულიეს შორის მთლად პარმონიული ურთიერთობა რომ ვერაა და რონალდო-კუპერ-პერესის სამკუთხედს შიშნეულად იხსენებენ — ბრაზილიელი კუპერს ვერ შეეწყო და „რეალმაც“ სწორედ ამით ისარგებლა. „ლივარულის“ მე-10 ნომერზე ტურინის „იუვენტუსის“ ნადირობს, თუმცა განვილილ სეზონთაშორისის გამოცდილებას თუ გავეთვალისწინებთ, კასტილიურ გრანდს უფრო მეტი შანსი ეძლევა. ასეა, ულიე მძინვარებს, ფლორენტინო პერესი ალბიონელ ბიჭუნაში 35 მილიონ ევროს იძლევა (სავარაუდოდ), ხოლო ინგლისურ მედიაში უკვე დაიბეჭდა დევიდ ბექემისა და მაიკლ ოუენის ფოტოები, შუაში წარწერით: FOLLOW THE LEADER, „მიჰყევი ლიდერს“.

„ლივარული“ მთავარ დაპრეტყმელ ძალასთან განშორებას არ აპირებს და იქაურთა ფრანგმა და-

ლადო ხომეხიძი



დევიდ ბექემი მაიკლ ოუენს მადრიდში სიაზონებში უმასპინძლებს

უეფა ჩააფულისანებს

უეფას აღმასრულებელმა კომიტეტმა ევრო 2004-ისთვის მოიცალა. კომიტეტის წევრები უკრაინის დედაქალაქში ორი დღით შეიკრიბნენ და საპორტუგალიოდ საპრიზო ფონდი დაადგინეს. ჩემპიონატის მონაწილეები მთლიანობაში 128 მილიონ ევროს მიიღებენ. ეს თანხა ევრო 2000-ის საპრიზო ფონდზე 51 მილიონით მეტია. პორტუგალიის სავაჭურის თითო-ერთი მფლობელი ფინანსურ ეტაპზე მოხვედრისთვის 4 მილიონ 800 ათასს ჩაიჯიბავს. ჯგუფში ერთი მატჩის მოგება 640 ათასდაა შეფასებული ფრის შემთხვევაში ამ თანხას დაზავებულები გაიყოფენ. შესაბამისად, ჯგუფში სამივე თამაშის მოგები მილიონ 92 ათას ევროს მოიხვეჭს. მეოთხედფინალში გასულ რვა ნაკრებს სათითაოდ კიდევ მილიონი 900 ათასი ერგება.

ოთხი ნახევარფინალისტი ცალცალკე ქისას 2 მილიონ 500 ათასი ევროთი შეავსებს. ჩემპიონს 6 მილიონ 400 ათასით, ვერცხლოსანს კი 3 მილიონ 800 ათასით დააჯილდოვებენ. ამგვარად, მომავალი ჩემპიონი ჯგუფიდან სამი მოგებით თუ გავა, საბოლოოდ 17 მილიონ 520 ათასით გამდიდრდება.

გაბა ხუციშვილი

ყურადღება!

შპს ამპრის საფინანსო სკოლა დაიფყო


1990-1996 წლებში დაგროვილი

გაფინანსების მიღება

ჩვენი მისამართი: თიანეთის გზატკეცილი 25 (გლდანულის გადასახვევთან), ოლიმპიური რეზერვების სკოლის ტერიტორიაზე

ტელეფონი: 39-00-98, 899 78-19-24, 893 25-14-66

პლიარა, რომ დაბრუნდება



რონალდო ინტერს ვერ იგოყვებს

ბრაზილიელმა რონალდომ იტალიური TELE 5-სადმი მიცემულ ინტერვიუში სერია A-ს დროინდელი ტკბილ-მწარე მოგონებების შესახებ ილაპარაკა. „ინტერი“ შესანიშნავი გუნდია. ჯერ კიდევ ბევრი რამ მაკავშირებს სერია A-სთან და თუ ოდესმე მილანში დაბრუნდები, ჩემთვის ცუდი ნამდვილად არ იქნება“. ასე გამოაცხადა კიკამ მაკერინის კლუბის სიყვარული. რონალდოს თქმით, უკვე 3 თვეა, რაც „ინტერის“ პრეზიდენტ მასიმო მორატისთან არ უსაუბრია, მაგრამ როდესაც შევხვდებით, ერთმანეთს ჩვეულებისამებრ გულთბილად მოვიკითხავთ და ძველ კეთილ აპუნინურ დროს გავიხსენებთ. მორატისთან ახლაც კარგი ურთიერთობა მაქვს, ამბობს.

გარდა ამისა, „რეალის“ ვარსკვლავმა ოდინდელ დამრიგებელთან, არგენტინელ ექტორ რაულ კუპერთან არსებულ უთანხმოებაზეც თქვა: „მე ვიყავი პირველი, ვინც საჯაროდ ილაპარაკა კუპერის სამწვრთნელო კურსისა და „ინტერის“ სათამაშო სტილის შეუთავსებლობის შესახებ. ვიცოდი, ეს კაცი გუნდს ვერაფერ სიკეთეს ვერ მოუტანდა, ამიტომაც კმაყოფილი ვარ მისი თანამდებობიდან გათავისუფლებით“. რაც შეეხება იტალიურ ტიფოზებთან დამოკიდებულებას, ბრაზილიელმა მათზე საქება-სიტყვები არ დაიშურა: „აღფრთოვანებული ვარ მილანელი გულმემატკივრებით. მთელი ჩემი იქნური კარიერის განმავლობაში მათთან უდიდეს მხარდაჭერას ვგრძნობდი“ — თქვა რონიმ, ვინც 2002 წლის აგვისტომდე („რეალში“ გადასვლის თარიღი) 5 სეზონი ხსენებულ ტიფოზთა სათაყვანებელი კერპი გახლდათ.

კიკა ამის შემდეგ კიდევ დიდხანს ებაასა TELE 5-ის ჟურნალისტებს, რომლებიც ინტერვიუს დასრულებისთანავე მასიმო მორატისთან გაქანდნენ და ჰკითხეს — იმ ბიჭს მართლა უნდა „ინტერი“ დაბრუნება თუ რა ხდება აგვისტოსთვის. სენიორ მასიმომ კი მედიის წარმომადგენლებს ასე უპასუხა: „მიზარია, რონი ისევე ჩვენი ერთგული რომ რჩება, ამას მისი თქვენთან საუბარიც ამტკიცებს, მაგრამ ბრაზილიელის დაბრუნება ჯერ მეტად შორეული ამბავია. ყოველ შემთხვევაში, ახლა სხვას ვერაფერს გეტყვით“.

ლადო ხოშირიძე

კადაფიმ გაურის გადაბიჯა არაბმა ფხი ნანდროლონში ჩაყო

„პარაჯას“ ფეხბურთელი აღ საად კადაფიმ დოპინგ-ტესტი რომ ვერ გაიარა, გუმინდელ „სარბიელში“ მოგახსენეთ, კლუბის პრეზიდენტმა ლუჩანო გაუჩიმ იტალიურ პრესასთან საუბარში განაცხადა: „კადაფის ზურვის ტყვიანი აწუხებდა და საეჭიბო იყო. სექტემბერში იგი გერმანიაში რამდენჯერმე გაემგზავრა და იმკურნალა. საიდუმლო არ არის, რომ ზოგიერთი წამალი, შესაძლოა, იმ ნივთიერებას შეიცავდეს, რომელიც ტესტის დროს სისხლში ნანდროლონის არსებობას აჩვენებს“.

„იმ კვირა დღეს — განაგრძო გაუჩიმ — 5 ოქტომბერს, როცა ჩვენ „რეჯინას“ ვხვდებოდით, აღ საადი მწვრთნელმა განაცხადაში შეიყვანა, მაგრამ იცოდა, რომ არ ითამაშებდა. კადაფი თავისი გულმოდგინების გამო მხოლოდ ქებას იმსახურებს, რადგან ტრავმის გამო მინც გუნდთან ერთად ყოფნა ისურვა და სათადარიგოთა სკამზე იჯდა. მომხდარი ჩვენი ბრალია და არა მისი. გერმანიაში არ უნდა გაგვეშვა. მე იტალიაში წამლობა ვურჩიე, მაგრამ მან გერმანელი ექიმი ისურვა. წინ ხომ არ გადაველობებოდით? აღ საადიმ თავის ჯანმრთელობის ამბავი უკეთ იცის, თუმცა მე დარწმუნებული არ ვარ, რომ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთან იმკურნალა“.

აღ საად კადაფის გარდა ბოლო სამი კვირის განმავლობაში დოპინგ-ტესტზე კიდევ ორი ფეხბურთელი ჩავარდა: პარმელი მანუელ ბლაზი და ინტერიელი მოჰამედ კალინი. კადაფის ორ წლამდე დისკვალიფიკაცია ელის და ალბათ ლიბიაში მამასთან დაბრუნდება.

მათა ხუციშვილი



2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

შპრანია

შპრანია

შპრანია

შპრანია

ინფორმაცია

ინფორმაცია

ინფორმაცია

ინფორმაცია

აზერბაიჯანის მატჩები

აზერბაიჯანის მატჩები

აზერბაიჯანის მატჩები

აზერბაიჯანის მატჩები

უფიჯია უფიჯია

უფიჯია უფიჯია

უფიჯია უფიჯია

უფიჯია უფიჯია

სამკურნალო გაართიანება „ლიბა“

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სამკურნალო გაართიანების კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
 - პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმური დასულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი) წინასწარი ჩანერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიბა“

თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/II, ტელ: 32 21 21; 32 21 15

REUTERS ნიუ იორკიდან



გაირობნები კალატურთა

დაიდი ჯონ მაკინროი ნიუ იორკში ცხოვრობს და იქაური „ნიქსის“ თამაშებსაც ხშირად ესწრება. ბოლოჯერ ის თავისქალაქელთა და „მილუოკი ბაქსის“ შეხლას დაესწრო. მართალია, სტუმრებმა იმარჯვეს, მაგრამ ჯონს შივადამივ მაინც უღიმებოდა. ეს დრანცულები კი ჯენი კაპრიაცი და კიმ კლაისტერსი გახლავთ — ისინი ამ დღეებში წლის დამავიწვინებელ ლოსანჯელესურ პირველობაზე ბუღრობენ და ხამუ-ხამუ კორტის მიღმაც გაირობიებენ ხოლმე. ერთ-ერთმა ფოტოობიექტივმა ისინი იქაური „ლეიკერსისა“ და „გოლდენ სტეიტის“ შეხლაზე გამოიჭირა.



REUTERS ლან ვაგანიდან



იანისა და ივისა

ვინ არ იცნობს განთქმულ ხორვატ მთის მოთხილამურეებს, და-ძმა იანისა და ივისა კოსტელიჩებს. რაც იმათ ზაგრებში ოლიმპიური თუ მსოფლიო ოქრო-ვერცხლი ჩაუზიდავთ, იმდენი სიხარული ზანზიბარელ ზამთროსნებს... ეს ფოტო კი მათ პრესკონფერენციაზეა გადაღებული. იანისას თურმე ფარისებრი ჯირყვლის პრობლემები ჰქონია და რაკილა მისი ქომაგები დამფრთხლან, გოგოს მართლა ხომ არ უჭირსო, და-ძმას მათ დასამშვიდებლად საჯაროდ გამოსვლა გადაუწყვეტია. ჩემს კარიერას არაფერი ემუქრებაო, უთქვამს იანისას.



REUTERS ზაგრებშიდან

სვალ ირხუბენი

ესენი ხვალ დახვედრის „მანდალი ბი ივენტს სენტერში“ იხსებებენ. ტიტულის დამცველი, WBC-ის ვერსიით მსუბუქ წყმძიმე წინაში მსოფლიოს ჩემპიონი ანტონი ტარვერი მარცხნივ დგას. მისი მოცილე, იმავე წინაში ოდინდელი უპირობო ჩემპიონი რაი ჯონს უმცროსი კი მარჯვნივ დამდგარა. ამბავი მათი ერთობლივი პრესკონფერენციის მერე ხდება.

REUTERS კოვნიდან



ლეონიდი და ლენარტი

უფას ადმინისტრაციული კომიტეტი კივს სწავლია. იქვეა ვეროპული ფეხბურთის მსხვემო ლენარტი აუპანსონიცი, ვისაც გამოიწვეული პატივით დახვედრია უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდი კუჩმა.

REUTERS ლონიდან



ელ ჩასკი

ასე ეწოდება პერუელი დიზაინერის, როზერ ესკობარის მიერ პერუში გაისად გასამართო კობა ამერიკისთვის შექმნილ ლოგოს. ლოგოს, სახელად „ელ ჩასკის“, პრეზენტაცია ლიმაში იმ დღეს მოეწყო და ამ მოღიბილე იქაურებს სწორედ მისგამოსახულებიანი მისურები პოხსავთ.

სარბიელი
საორტული გაზატი

გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამომცემი: სარბიელის, ოთხგაბათის, ხუთგაბათის, პარასკეპს და შაბათის

გამომცემელი ზურაბ შოცხვერია დირექტორი გიორგი ოძროგაძე
რედაქტორი თამაზ მიხრაიული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბაიაძე
ჭართული ფეხბურთის რედაქტორი: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: გიორგი ბუხიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაქიძე, ლადო ხოძორია, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შვირაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კულაურაძე, ირაკლი პერტაია, ბანო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში: ვანო ოქრობიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღუნაშვილი, ბადრი კვიციანი
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ ვოგუბაშვილი, რუსუდან დარსაგულიძე, სვეტა დევიძე, ფატი დევილიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზაგაძის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საზოგადოებრივი მისამართი:
თბილისი – 79, საზოგადოებრივი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა: sarbieli@gol.ge
ელექტრონული პერსონა: http://www.sarbieli.com.ge